

მომავალი წელიდან პენსია 20 დარით გაიზრდება



საქართველოში პირველი იანვრიდან პენსია 20 დარით გაიზრდება და 200 დარი გახდება. ცვლილებას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს.

მომავალ წელს საპენსიო უზრუნველყოფისთვის 1.925 მილიარდი დარია გათვალისწინებული. მიმდინარე წელს ამ კუთხით დაფინანსება 1.7 მილიარდ დარს შეადგენს.

საქართველოში პენსია 180 დარამდე 2016 წლის ივლისიდან გაიზარდა.

28 სექტემბერს გაირკვა, რომ ბიუჯეტი დაახლოებით 300 მილიონი დარით გაიზრდება. საქართველოს პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე არ გამორიცხავს, რომ განხილვების პროცესში ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი როგორც შემოსავლების, ასევე ვაპიტადური ხარჯების ნაწილში მნიშვნელოვნად დაკორექტირდეს. როგორც პრემიერმა ჟურნალისტებს ამ თემაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, საქართველოს მთავრობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სრული მხარდაჭერა აქვს.